ოქმი:**ო08. 3724148001**

თარიღი:**27/05/2024**

ოქმი № 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 23
ქ.ოზურგეთი
11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, გ. კილაძე, დ. დარჩია, ალ. ღლონტი, თ. ტუღუში, ნ. მახარაძე, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი : თამარ ბაქანიძე

4.ინფორმაცია- 2023 წელს საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი და დამტკიცებული ქონების რეალიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი : თამარ ბაქანიძე

5.ინფორმაცია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომუნალური მეურნეობის მართვის სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზისა და შესაბამისი

რეკომენდაციების მომზადების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი : ირაკლი გაბედავა

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი იდგა კანონით გათვალისწინებულ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები და წინადადებები საკრებულოში არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სდომაზე წრდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგის N 2 და 3 საკითხებზე დაწყებული იყო საჯარო ადმინისტრაციულ წარმოება, შენიშვნები საკრებულოში არაა შემოსული, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წრდგენა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას ინფორმაცია წარედგინოს საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ხუთივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი